სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #7

ქ. სამტრედია 20 იანვარი 2015 წელი

ერთის მხრივ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია (შემდგომში "შემსყიდველი"), მეორეს შ.პ.ს. ,,ფაზისი 2005" (შემდგომში მომწოდებელი) დირექტორი პაატა ბობოხიძე ადასტურებენ რომ არ იმყოფებიან ერთმანეთან ინტერსთა კონფლიქტში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 იანვრის #11 განკარგულების და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 16 იანვრის #96 ბრძანების, საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ ხელშეკრულება) _ შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს 2- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", კვირა", "თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" _ პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას, ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. შესასრულებელი სამუშაო _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოდგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეწყრის შედეგად დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ:

ა) ტოლების თემის, სოფ. ზემო ნოღაში შანიძეების უბანში დამეწყრილი გზის სავალი ნაწილის დროებითი სარეაბილიტაციო სამუშაოები-8455ლ

2.2. CPV კოდი 452 00000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 8455 (რვაათას ოთხას ორმოცდათხუთმეტი) ლარს

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დ.ღ.გ.-ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად ფაქტიურად დასრულებული სამუშაოს მიხედვით ხელმოწერილი და დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტის, შესრულებული სამუშაოს ფორმა #2-ის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, დამოწმებიდან 10 დღის ვადაში

4.3. ანგარიშსწორების მოთხოვნა შესაძლებელია თითოეული ობიექტის სრულად დამთავრების შემდეგ.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესრულებული სამუშაო დასრულებულად ჩაითვლება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და შესრულებული სამუშაოს აქტზე (ფორმა #2-ზე) მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან

5.2. შემსყიდველის მხრიდან შესრულებული სამუშაოს ფორმა #2-ზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს-სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
5.3 მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის საფუძველს წარმოადგენს 2015 წლის 16 იანვრის #100 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი შესაბამისი დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი

6. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

6.1. სამუშაოების დაწყება უნდა განხორციელდეს ხარჯთარიცხვაში მითითებულ მისამართზე, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.
6.2. სამუშაოს დასრულების ვადად განისაზღვრება 2015 წლის 10 თებერვალი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება;
ბ) სამუშაოების დასრულებამდე მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს შემსრულებელზე ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) სამუშაოები შეასრულოს საპროექტო ორგანიზაციის მიერ შედგენილი და დამოწმებული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე გადაეცემა შემსყიდველისაგან.
ბ) იმ შემთხვევაში თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2015 წლის 16 იანვრის #100 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, შესაბამისი სოფლის წარმომადგენელი
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების ხარისხის კონტროლს
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებულელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი)%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა მ/შ შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების

10.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული სიტუაციის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული სიტუაციის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლება მოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 მარტი.

14. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი:	მიმღები:
სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა	შ.პ.ს. ,,ფაზისი-2005"
	დირექტორი პაატა ბობოხიძე
ქ. სამტრედია რესპუბლიკის ქ.#6	ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის #48/54
საინდ/კოდი 238769025	საინ.კოდი 212859799
ს.ს პრივატ ბანკი სამტრედიის	ს.ს. საქართველოს ბანკი
ფილიალი, ბანკის კოდი 220101702	ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის #GE65TP0033030020000575	ანგ.# GE29BG0000000120425400